საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2017 წლის 8 მაისის

დადგენილება №2418

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სა
მართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ და საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2017 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილების (ოქმი № 5) საფუძველზე **აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. შეიქმნას საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო მასობრივი კომუნიკაციის, არქეოლოგიის, ეკონომიკის, თეოლოგიის დარგის /სპეციალობის მიმართულებით;
2. დამტკიცდეს საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულება თანდართული სახით;
3. ამ დადგენილების პირველი პუნქტით შექმნილი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს უფლებამოსილება განისაზღვროს სტუ-ის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დამტკიცებამდე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე